საქართველოს რკინიგზა
1872-დან

06.09.2024
N 4095

შპს ,,ბევრილი ჯგუფი"-ს დირექტორს
ნ. ფერცულიანს

ბატონო ნოდარ,

სს „საქართველოს რკინიგზა"-ში განხილული იქნა თქვენი 27.08.2024 წლის წერილი, რომელიც ეხება ქალაქ თბილისში მდებარე, შპს „ბევრილი ჯგუფი"-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკად. კოდია 01.19.24.003.045), 2 სართულიანი საწყობი/ოფისის მშენებლობის, სს „საქართველოს რკინიგზა"-სთან შეთანხმების საკითხს.

გაცნობებთ, რომ თქვენს საკუთრებაში არსებულ, 01.19.24.003.045 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე 2 სართულიანი საწყობი/ოფისის მშენებლობის განხორციელება, საგაბარიტო ზომების და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობების, ნორმატიული დოკუმენტების, სამშენებლო-ტექნიკური ნორმების და წესების, სახანძრო უსაფრთხოების და სანიტარულ-ჰიგიენური წესების მოთხოვნების დაცვით, სს „საქართველოს რკინიგზა"-ს საქმიანობას ხელს არ შეუშლის.

ინფრასტრუქტურის დირექტორი
დავით გაბუნაშვილი

თამარ მეფის გამზირი N15
თბილისი, საქართველო 0102

N15, Tamar Mepe Ave
0102, Tbilisi, Georgia 0102

Tel : 219-95-67 ; 219-91-59
Mail : Kancellary@railway.ge

სსიპ სამოქალაქო
ავიაციის სააგენტო

I ხეივნის ქუჩის დასაწყისი
0114 თბილისი, საქართველო
+995 32 2 948 014
office@gcaa.ge

29 აგვისტო 2024

N 05/2813

შპს „ბევრილი ჯგუფი“-ს წარმომადგენელს

ბატონ შალვა ლეკიაშვილს

ასლი: შპს „ტავ ურბან საქართველოს“-ს

ბატონო შალვა,

თქვენი, 2024 წლის 27 აგვისტოს განცხადების (რეგ.№3501/01) პასუხად, რომელიც ეხება თბილისის საერთაშორისო აეროპორტის აეროდრომის დაცვის არეში (შიდა ჰორიზონტალური ზედაპირის ფარგლებში) მდებარე მიწის ნაკვეთზე, საკადასტრო კოდით 01.19.24.003.045 საწყობი/ოფისის მშენებლობას, გაცნობებთ, რომ აღნიშნულ მიწის ნაკვეთებზე, საქართველოს მთავრობის, 2024 წლის 6 მარტის #73 დადგენილების - „აეროდრომისა და ვერტოდრომის დაცვის არის დადგენისა და ამ არეში საავიაციო დაბრკოლების შემქმნელი შენობა-ნაგებობის მშენებლობის, აგრეთვე აღნიშნული შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის, შეზღუდვისა და ნიშანდების წესი“-ს 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შეთანხმებას არ ექვემდებარება იმ შენობა-ნაგებობების მშენებლობა, რომლის სიმაღლე, მიწის დონიდან არ აღემატება 15 მეტრს.

პატივისცემით,

ალექსანდრე ბაიდოშვილი

დირექტორი - მ.შ.

ხელმძღვანელობა